<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი
„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №29, 12.10.2009, მუხ. 159) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **34-ე მუხლის 2^2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^3 და 2^4 პუნქტები:**

„2^3. საქართველოს ტერიტორიაზე ნაღდი ფორმით ანგარიშსწორება ხორციელდება თანხის დამრგვალების პრინციპის საფუძველზე. დამრგვალების პრინციპი გულისხმობს თანხის დამრგვალებას მეტობით ან ნაკლებობით უახლოეს 5-ის ჯერად რიცხვამდე.

2^4. დამრგვალების მეთოდი და მისი გამოყენების წესი დგინდება ეროვნული ბანკის საბჭოს სამართლებრივი აქტით.“.

2. 70-ე მუხლის მე-12 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-13 პუნქტი:

„13. 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ 1 და 2 თეთრის ნომინალის მონეტების მიმოქცევასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ეროვნული ბანკის საბჭოს სამართლებრივი აქტით.

მუხლი 2. 2019 წლის 1 იანვრამდე საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭომ გამოსცეს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტები.

მუხლი 3.

1. ეს ორგანული კანონი, გარდა ამ ორგანული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორგანული კანონის 34-ე მუხლის 2^3 პუნქტისა, ამოქმედდეს 2018 წლის 1 ივნისიდან.

2. ამ ორგანული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორგანული კანონის 34-ე მუხლის 2^3 პუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*